# სამშობლო

ოთხშაბათი 30 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 187 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 187

ტელეფონი № 76.


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."


ტელეფონი № 76.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ხუთშაბათს, 1 ოკტომბერს, ქალ. ქუთაისში, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

ნადეჟდა დიმიტრი ცინცაძის ასულის

კანდელს სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები: ლიუდმილა დიმიტრის ასული ოსიტოვისა და სოფიო დიმიტრის ასული საზახტარაშვილისა მეუღლეებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

✝

ნებითა ღვთისათა სამშაბათს, 29 ამა სექტემბერს, ხანგრძლივი ავათ-მყოფობის შემდეგ მიიცვალა ქუთაისში ლევაშოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში

ნატალია იაკობ საპოვის ასული პაზაკუსი.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $5^1/_2$ საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 1 ოკტომბერს, დილის 9 საათზე, რ.-კათოლიკეთა ეკკლესიაში და შემდეგ დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. 1—1

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის „მაღაზიის ახალი გამოცემა სამსონ დათეშიძის ქართული დედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან გადაკეთდა საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ӕ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი წერეთლისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ორშაბათიდან, 28 სექტემბრიდან, მხოლოდ სამი დღით, განსაკუთრებით მოზრდილთათვის, ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა.

ლეონ დრეი,

ქალთა გულის მომხიბვლელი.

ი. იუშკევიჩის მოთხრობიდან. დიდებული სურათი 6 ნაწილათ.

უმთავრეს როლებში: ლეონ დრეი—ნ. მ. რადინი, ლეონის მამა—ბ. ბარისოვი, ლეონია დედა - ქ. ხალატოვისა, ლეონის ექვსი მსხვერპლი როლებში: ქ. ო. რ. რეიზონი, ლისენკო და ცნობ. მსახ. ქალი ლონან ბაუერი, ნელსკაია, დოლინინა და ბრენდერი.

1 ნაწ. ბედის ნებიერი. 2—ინტრიგის გზაზე. 3—სილამაზის ძალა. 4—ვნების მორევში. 5—სისხლით გარეცხილი სირცხვილი. 6—ლეონის დღესასწაული.

ქალაქის თეატრი.
„ქართული დრამა".
სეზონის დასაწყისი.
ორჯერზედიზედ

ხუთშაბათს, 1 და პარასკევს, 2 ოკტომბერს წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა

სინათლე.

5 სურათად.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი საბენეფისოთ.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
რეჟისორი შ. დადიანი.

ანონსი: მზადდება „კაი გრაკხ" და ურიის სისხლი.

3—2

1915 წლის 1 ოკტომბრიდან გამოვა ქ. ქუთაისში ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მეგობარი"

გ. მაიაშვილის და კიტა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით.
გაზეთის ფასი წლიურად 8 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ.
გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისში, ივანოვის ქ. ჭილაძის სახლი. „მეგობარი"-ს რედაქ. რედაქტორ გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

„სინათლის" საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში
მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია",
შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.


# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 28 ენკენისთვე. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ფრიდრიხშტადტის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში „ილია მურომეც-"ის მსგავსმა ჩვენმა ჰაეროპლანებმა სოფლებ ბელგოფსა და ტაუერკალნში 75 ყუმბარა ჩამოაგდეს. როგორც შემჩნეული იყო, ყუმბარები ძლიერ მოხერხებულათ იყო ნასროლი.

დვინსკის რაიონის ფრონტზე გასული დღეების განმავლობაში ჩვენს ჯარს ბევრ ადგილას მარჯვე გაშმაგებული ბრძოლა ჰქონდა გერმანელების ჯართან, რომელმაც რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენზე. დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით სოფელ გაბრუნოვკაზე ახალი იერიშის მიტანით ჩვენმა ჯარმა ამ სოფლიდან გერმანელები გამოდევნა და გააქცია ლაუცეს-გეი და გარბიშკების შუა მდებარე თხრილებიდან. უკან დევნის დროს ჩვენ დავიკავეთ ხაზი მადმუსის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთის წვერიდან ლაუცეს-გეიემდი. დემენ-დრისვიატის ტბის ხაზზე წასული დღის განმავლობაში დაბინდებამდი ცეცხლით ბრძოლა იყო. გერმანელების ჰაეროპლანებმა დვინსკსა და მის მახლობლათ რკინის გზის სადგურებს ყუმბარები ესროლეს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბოგინის ტბის დასავლეთ ნაპირზე შესართავი დაიკავა. დელიატიჩის აღმოსავლეთით ლიუბიჩიდან ზემო ნემანზე მოტანილი იერიში გერმანელებისა მოგერებულ იქნა. კოველ-სარნის რკინის გზის ორივე მხარეს რამდენიმე შეტაკება მოხდა მტერთან, რომელიც მოიწევდა კ. რ-სკინ. მდ. სტირზე ბევრ შემთხვევაში ჩვენს არტილერიას საშუალება მიეცა გაევითარებია მტრისათვის გამანადგურებელი ცეცხლი.

დ. სემკის რაიონში სტირის მარცხენა ნაპირზე, დ. კოლკის ქვემოთ, გუშინ საღამოს მომხდარი სასტიკი ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა. აქ ჩვენმა ჯარმა დაიკავა მტრის თხრილების მესამე რიგი. კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა არტილერიის ცეცხლის დახმარებით აიღო ჩერნიშის ნაპირი, სოფელი სელიშჩე და დაბა, უმნიშვნელო მსხვერპლის გაღებით. სოფელ მოშჩანიცის რაიონში, დერეჟნოს დასავლეთით, მტრის კონტრიერიში მოვიგერეთ.

### კავკასიის ასპარეზი.

**თბილისი.** ისკანის რაიონში (ჰოროხისა და ოლთის შესართავთან) ოსმალები იერიშზე გადა დიოდენ, მაგრამ მოგერებულ იქნენ. ყველა დანარჩენ ფრონტზე არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 28 სექტემბერი. ბელგიაში ლომბარდზიდეს მიდამოში და არტუას მთელ ფრონტზე არტილერიის ბრძოლა იყო. არრის ჩრდილოეთით ჩვენ წინ წავიწიეთ, აგრეთვე შამპანში ტაგიურის სამხრეთ, აღმოსავლეთით და იერიშით ავიღეთ გერმანელების ახალი თხრილი სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე. სასტიკი არტილერიის ბრძოლა მოხდა არგონში, სეკტორში, კურტ-შოსესთან და


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ'ლმორტთან. აგრეთვე მახსისა და მოზელის შუა, ფლირეს ჩრდილოეთით; ასეთივე სასტიკი ბრძოლა მოხდა ხელის, სასროლ ყუმბარებით ვოგეზებში. პონტავონიდან პუვინელში ორი მტრის მფრინავი მოკლულ იქმნა. ერთმა ჩვენმა ჰაერის ესკადრონმა დღისით 100 ყუმბარა ჩააგდო ფრონტის უკან შამპანში მტრის ჯარის თავზე.

**ცეტინიე.** 26 სექტემბერი. ავსტრიელების შემოტევა დაიწყო თითქმის მთელ ჩერნოგორიის ფრონტზე. ისინი ცდილობდნენ დრინაზე გადმოსვლას სამს ადგილში, მაგრამ ჩერნოგორიის ჯარის ენერგიული შეტევით მტერი დიდი ზარალით მოგერებულ იქნა.

დაღუპულია საბერძნეთის გემი „დიმიტრიუსი", ბრიტანიის გემი „ოდ" ნიუკასში.

**კიევი.** 27 სექტემბერი. ბულგარელების კოლონიამ თავის კრებაზე გამოიტანა რეზოლიუცია, გამოეცხადოს პროტესტი ბულგარეთის მთავრობას, რომელსაც სურს ბულგარეთის ბედი ტევტონების ხელში ჩააგდოს. კრებამ გაუგზავნა დეპეშა ბულგარეთის ოპოზიციის ბელადებს, რომ დაიხსნან სამშობლო დაღუპვისაგან.

**პარიზი.** 27 სექტემბერი. ალექსანდრიიდან ტანს ატყობინებენ, რომ ფრანგების, ინგლისელების, რუსებისა და იტალიელების ყველა მონასტერი იერუსალიმში თვალათ გადაიქციეს. სამარიის ველნი და ელეონის მთა სამხედრო სავარჯიშოთ არის გადაქცეული; გოლგოთაზე სროლაში ვარჯიშობენ, სადაც ოსმალთა ჯარის კაცთ წრთვნიან გერმანელი აფიცრები.

**ქაირო.** ბრიტანიის სარდლის მიერ ნაბრძანებია, რომ ბულგარეთის ყველა ქვეშევრდომი, ეგვიპტეში მცხოვრებნი, პოლიციაში უნდა გამოცხადდეს და თავისი დოკუმენტები წარმოადგინონ. ამ წესების დამრღვევნი ციხეში დატუსაღებით დაისჯებიან.

### ბელგრადის ალება.

**ნიში.** 26 ეკენისთვე. პრესბიურო იუწყება, რომ ჩვენმა ჯარმა ხელი აიღო ბელგრადის დაცვაზე და უკან დაიხია პოზიციებიდან, რათა მტერს შეეწყვიტა ქალაქზე მძიმე საველე ზარბაზნებით ყუმბარების დაშენა. ბელგრადის დაჭერით მტერს არავითარი უპირატესობა არ ენიჭება სამხედრო თვალსაზრისით.

**ტოკიო.** 28 ეკენ. 2000-ზე მეტმა ჩინელმა სტუდენტებმა, რომელნიც იაპონიაში სწავლობენ, კრება გამართეს. კრებაზე გამოიტანეს ჩინეთში მონარქიის აღდგენის საწინააღმდეგო რეზოლიუცია.

**სოფია.** 28 ეკენ. ზაიმის კაბინეტი ხვალ წარუდგენს პარლამენტს თავის სამოქმედო პროგრამას. მთავრობის გაზეთები აღნიშნენ, რომ მთავრობა მტკიცეთ დაიცავს ნეიტრალიტეტს, ორივე ჯგუფის სახელმწიფოებისადმი, ხოლო კეთილ სასურველი დამოკიდებულობა იქნება იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაც საბერძნეთი შეკავშირებულია ტრადიციებითა და მადლობის გრძნობებით.

**სტოკჰოლმი.** 28 ეკენ. მიუხედავათ ბულგარეთის მთავრობის იმ ფაქტის უარყოფისა, ვითომც ბულგარეთში გერმანელი აფიცრები არ იმყოფებოდენ, შვეციის გაზეთებს ბერლინიდან ატყობინებენ, რომ გერმანელმა აფიცრებმა იკისრეს ხელმძღვანელობა დედეაგაჩისა და პორტოლაგოსის ნავსადგურებისა, სადაც დადგმულია მძიმე არტილერია. ორივე ეს ნავსადგური იქნება გერმანელების წყალქვეშა ნავების სამოქმედო ბაზათ.

**თეირანი.** 27 ეკენ. ინგლისის ჯარის მიახლოვება ბაღდადისკენ ჩვენს მოპირდაპირე სახელმწიფოთა აქაურ წარმომადგენლებს შორის აღელვებას იწვევს. ამიტომ გერმანელმა აგიტატორებმა თავიდაანებეს ავღანისტანში შესვლის ცდას და მუსულმანებში ამბოხების მოხდენას. იგინი იძულებული გახდნენ თავისი ცდა ახლა გადაიტანონ ხანაღში, სადაც მდგომარეობა უფრო ძლიერ გართულებულია, გერმანელების მიერ თავმოყრილ ბრბოს გამო.

**ბუქარესტი.** 21 ეკენ. კონსტანტინეპოლიდან ოსმალეთის პარლამენტის გახსნის შესახებ იტყობინებიან. თავჯდომარემ, ხალილ ბეიმ განმარტა, რომ დღევანდელ ომს შედეგათ მოჰყვება ერთი ჯგუფის ძლიერ სახელმწიფოთა შექმნა ჩრდილო ზღვიდან ინდოეთის ოკეანამდი, რომელნიც მუდამ შეერთებული იქნებიან ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა საწინააღმდეგოთაო. ბულგარეთიდან ცნობაა, რომ დუნაის ნავსადგურები დაკეტილია და დაალყულია ნაღმებით.

**ათინა.** 25 ენკენ. ავსტრო-გერმანელების მიერ სერბიაზე იერიშის მიტანის გამო, გაზეთი „პატრისი" სწერს: საბერძნეთის სურვილია, რომ სერბიამ გაიმარჯვოს, იგი თანაგრძნობით უყურებს სერბიელების გმირულ ბრძოლას. ბულგარეთის მოსალოდნელ გეჰემონიის გამო ბალკანეთში მინისტრმა, ბრალისმა გაუცხადა გაზეთ „ნეახიმერი"-ს თანამშრომლებს, რომ საბერძნეთის ახალი კაბინეტის საგარეო პოლიტიკა დამოკიდებული იქნება სერბია-საბერძნეთის შუა დადებულ ხელშეკრულობის გამოკვლევის შედეგებზეო".

# ომის ამბები.

### ბულგარეთის გავლენა.

სამხედრო მიმომხილველი ოგლინი სწერს: ...„ბულგარეთის ნახევარი მილიონი ლაშქარი საკმაო მაგარ ძალას წარმოადგენს, მით უფრო, რომ იგი კარგი თვისების ჯარებისაგან შედგება და გერმანიისაგან მოწოდებული სამხედრო მასალა გამოულევლათ ექნება". ამ ლაშქარის სამოქმედო რაიონი ბალკანეთით არის განსაზღვრული. მისი დანიშნულება, ოგლინის აზრით შემდეგია: „ბალკანეთის საზღვრებში ბულგარეთის არმიას შეიძლება ორი დანიშნულება ექნეს: 1) სერბიაზე თავდასხმა და 2) ოსმალეთის მიშველება, რომელსაც ახლა გალიპოლის ნახევარ კუნძულზე დიდი ბრძოლა აქვს გამართული ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებთან".

„ბულგარეთის გერმანიის მხარეზე აშკარათ დადგომა რუმინიას შეაჩერებს", მაგრამ ოგლინის აზრით, ეს მაინც ასედაც მოსალოდნელი იყო. ბულგარეთის გამოსვლის მნიშვნელობა უმთავრესათ იმაშია, რომ იგი გერმანიისა და ავსტრიის შეერთებულ ძალებს გზას გაუხსნის სტამბოლისაკენ და, მაშასადამე, სრუტეების დაცვის საშუალებას მისცემს.

„ამ პირობებში, თუ მოკავშირეებმა სრუტეების დაცვა განაგრძეს, ბალკანეთში ყველა მეომარ სახელმწიფოების ჯარები მოიყრიან თავს და ომის ასპარეზი უპირველესი და უდიდესი გახდება. ხოლო სხვა ფრონტზე ამ დროს დროებითი და შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდება. და თუ მოკავშირეები ერთბაშათ თავს დაანებებენ სრუტეებს და აქ ბრძოლის გაგრძელებაზე უარს იტყვიან, მაშინ ეს თუმცა მოპირდაპირისთვის დიდი დათმობა იქნება, მაგრამ სამაგიეროთ ბულგარეთის გამოსვლის გავლენას ომზე შემდეგში თითქმის სულ გააქრობს: გერმანია-ავსტრიას ამით, ე. ი. სრუტეების თავმინებებით სხვა ფრონტზე ახლანდელთან შედარებით დიდი ძალა არ შეემატება. ხოლო მოკავშირეები კი ისარგებლებენ ამ მდგომარეობით და აქ დაბანდულ ჯარებს სხვა ფრონტზე გადაიყვანენ". (რ. ვ.)

### სალონიკი.

ბალკანეთიდან გაზეთებს საეჭვო ამბავს ატყობინებენ: ვითომ საფრანგეთის ჯარის პირველი დივიზია და მისი არტილერია სალონიკში გადაიყვანეს, საიდანაც მაშინვე სერბიისაკენ გაგზავნეს. მოელიან აგრეთვე მეორე დივიზიას და მის არტილერიას. ფიქრობენ, რომ ჯარების სალონიკში გადაყვანა მალე სისტემატიურათ დაიწყებაო. (ვ. ვ.)

—ბუქარესტიდან დეპეშით შემდეგს იტყობინებიან: სოფიაში რუსეთის საელჩოს სადგომიდან, სადაც თავი მოიყარა ფუარებულმა ხალხმა, რუსეთის სახელმწიფო დროში და ბაირაღი ჩამოხსნეს.

—როდოსლავოვის ორგანო სწერს: დიპლომატიური თვალთმაქცობა დასრულდა. ბულგარეთმა ახლა მაკედონია ძალით უნდა აიღოს ტ ორი წლის სამარცხვინო დამცირებისათვის შური იძიოს."

### არეულობა ისპაჰანში.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ იქ გერმანულ გაზეთებს სტამბოლიდან ცნობა მოუვიდათ: „საღვთო ომის" მომხრეებმა ქ. ისპაჰანში (სამხრეთ სპარსეთში) ინგლისის დესპანი მოკლეს. ამხედრებულმა ბრბომ საელჩოს ყველა მცველები სულ ერთიანათ ამოჟლიტა. (რ. ვ.)

### შუამდგომლობისათვის.

გერმანიის პროვინციაში, დიუსელდორფის რაიონში 20,000-მდე რუსის მუშაა დაქირავებული, რომლებიც ვარშავიდან და როდომიდან მოუყვანიათ. ამ რაიონის ორ ფაბრიკაში ნემეც მუშებსა და ხაზინებ შორის კონფლიქტი დაიბადა. ნემეც მუშებს რუსის მუშებიც შეუერთდენ და ამათაც თავის მხრივ ზოგი რამ მოითხოვეს. მთავრობასთან შუამდგომლობისთვის რუსის მუშებმა დიუსელდორფის მუშათა ორგანიზაციის მდივანს, ვინნენს მიმართეს. ვინნენმა მართლაც იკისრა შუამდგომლობა, მაგრამ, რა-კი ამ რაიონის „სოციალისტ-ოპოზიციონერებს" მოქმედება აკრძალული აქვთ, ამიტომ მთავრობამ ვინნენმანი რუსის მუშების სასარგებლოთ შუამდგომლობისთვის და რჩევის მიცემისთვის დაატუსაღა. დაატუსაღეს აგრეთვე რამდენიმე მუშა. (რ. ვ.)

### ვარშავაში.

„ობივატელების" კომიტეტმა გერმანულ მთავრობასთან შეთანხმებით გადაწყვიტა, რომ რაც კი ქალაქში სასწავლებელი გადარჩა ყველა ხელახლავ აღადგინოს, უნივერსიტეტიც კი. ვარშავის ციხის უფროსები წინააღმდეგნი არ არიან, რომ საზღვარგარეთ პოლონელი მოსწავლე ახალგაზრდობა ქალაქში დაბრუნდეს. (დ.)

— ჟურნალი „ნაშ ვესტნიკი"-ს კორესპონდენტი კი შემდეგს იტყობინება: ვარშავაში მდ. ვისლაზე ხიდები ჯერ არ აღუდგენიათ. ქალაქში ნემცებმა ახალი სისტემის პასპორტები შემოიღეს, რაშიაც ორ მანეთ ნახევარს ახდევინებენ. სანოვაგეზე შემდეგი ფასებია დადგენილი: გირ. ხორცი—60 კ., პური და შაქარი—18 კ., ძეხვი—1 მ. 20 კ., ქონი—80 კ. ერთი კვარტი რძე—8 კ. ნემცები ყოველდღე მრავალ პოლონელს აპატიმრებენ უმიზეზოთ. (დ.)

# ქ რ ო ნ ი კ ა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### რ უ ს ე თ ი.

### სამხედრო კომიტეტის არჩევნები.

ცენტრალურ სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეს, ალ. გუჩკოვს წერილობითი განცხადებები მოუვიდა, როგორც კერძო მუშებისაგან, ისე მთელი საწარმოვო დაწესებულებებისაგანაც. მუშები აცხადებენ მოტივებს, თუ რატომ არ მიიღეს მათ მონაწილეობა არჩევნებში; უპირველესათ გუჩკოვს ისინი სთხოვენ, რომ მან აცნობოს მათ, თუ რამდენათ შეიძლება ისინი დაიმედებულნი იყვნენ, იმაში, რომ მათ „ამომრჩევლებს" ხელს არ ახლებენ და თავისუფლებას არ მოუსპობენ. შემდეგ მუშები აცხადებენ, რომ მუშათა ორგანიზაციების უქონლობის მეოხებით სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში მუშების მონაწილეობის საკითხი სათანადოთ ვერ იქნება გამორკვეული. ამ მიზნისთვის მუშები საჭიროთ სცნობენ, რომ ერთად ერთმა მუშათა ორგანიზაციებმა, სავაჭრო-სამეურნეო კასებმა თათბირები გამართონ, რომ ეს საკითხი მუშათა ფართო მასას გააცნონ. რა პასუხი მისცეს მუშებს მათ განცხადებაზე ამაზე გაზეთები არაფერს გვაუწყებენ.

— პუტილოვის ქარხნის მხოლოდ ორი სახელოსნოს მუშებმა არ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა. სხვა განყოფილებებიდან აირჩიეს ათას კაცზე ერთი— სულ 27 კაცი.

— პეტროგრადის 101 საწარმოვო დაწესებულებიდან, სადაც 219,036 კაცი მუშაობს, 22 სექტემბრამდე ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის არჩევნებში მონაწილეობა მიუღია სულ 78 დაწესებულებას, სადაც მუშაობს 171,581 კაცი. აურჩევიათ სულ 165 ამრჩეველი, მაგრამ საარჩევნო ოქმი კი დღემდე მხოლოდ 43-ია გამოგზავნილი, რომლითაც მხოლოდ 71 ამრჩევლის სახელი და გვარია დასახელებული, ხოლო დანარჩენების არაფერი არ იციან. ზოგ ქარხნებში კიდევ, სრულიად გამოურკვეველ მიზეზის გამო, არჩევნები არ შემდგარა (რ. ვ.)

### არავითარი ცვლილება.

პეტროგრადიდან გაზეთებს ატყობინებენ, რომ იქაური მემარჯვენეთა წრეები ირწმუნებიან პოლიტიკური კურსი იგივე

# „Новое слово".

### (ახალი რუსული სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის ხ. ოცხელისა*).

I

(დასასრული იხ. „სამშობლო" № 186).

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ოცხელის მიერ წამოყენებული საშუალება,—მთლიანი მოთხრობით სარგებლობა,—ძალიან სასარგებლოა და საყურადღებო. როგორც ზევით დავინახეთ, ამ საშუალებას არ შეუძლია იმის მოცემა, რასაც თვითონ ბ-ნი ოცხელი მოელის მისგან. ძალიან გადაჭარბება და დაძალებაა აგრეთვე უცხო ენის სწავლების პირდაპირ მოთხრობიდან დაწყება. ეს ჩემი აზრით გაადვილების მაგიერ, სწავლებას უფრო გააძნელებს. მიუხედავათ ამისა, მთლიან მოთხრობას თავისი დიდი ღირსება მაინც აქვს ნაწყვეტ ფრაზებთან შედარებით: მოთხრობა იწვევს ბავშვებში ინტერესს, რაც აუცილებელია სწავლაში წარმატებისათვის,—ნაწყვეტი ფრაზები კი ერთობ მომაბეზრებელია და ვერც აზროვნებას გაავითარებს. ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება, ადრე მივაწოდოთ ბავშვებს უცხო ენაზედ პატარ-პატარა მთლიანი მოთხრობები, რომ იმით შევინარჩუნოთ ბავშვებში უცხო ენით პირველათ გამოწვეული ინტერესი.

ამ გარემოებას ანგარიშს უწევს გოგებაშვილიც და უკვე მეხუთე გაკვეთილიდან მიმართავს მთლიან მოთხრობებს, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს მოთხრობები ვერ არიან საინტერესონი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხუთ გაკვეთილზედ შეძენილი სიტყვებიდან ვერაფერ მოთხრობას შეადგენ, კაცი. მაგრამ, მე მგონია, თუ მოინდომებს კაცი, ამ სიძნელესაც შემოევლება. მეორე დიდი ნაკლი „Русское слово"-სი ის არის, რომ ამ პატარა მოთხრობებს არ ახლავთ სურათები, ე. ი. მოკლებულია თვალსაჩინოებას. ეს ორივე ნაკლი, ვფიქრობ ეხლა უფრო აშკარა ჰყო „Новое слово"-მ. ლექსიური განყოფილების ბოლოში მშვენიერი მოთხრობები აქვს გოგებაშვილს და სურათებიც ახლავს, მაგრამ ეს ასე არაა დასაწყისში და საჭირო კი ძალიანია.

სამაგიეროთ გოგებაშვილი სრულიად ასცილდა თარგმნას. „Руское слово"-ს გზით ბავშვები პირდაპირ უცხო ენაზედ ადგენენ მოთხრობას უწინ შეთვისებული სიტყვებისაგან. „Новое слово"-ში კი ჯერ ეძლევა მოწაფეებს ქართული მოთხრობა და მერმედ იგივე მოთხრობა უნდა გამოითქვას რუსულად. ეს კი თარგმნა გამოდის, რა თქმა უნდა აზრების და არა სიტყვების.

ერთი ნაკლი კიდევ დამანახა „Новое слово"-მ „Русское слово"-ში. ეს არის ამ წიგნის პირველი ნაწილის მეორე განყოფილებაში მოქცეული სურათების აღწერა. ცნობილია, რომ აღწერა არც საინტერესოა და ძნელიც არის. ამიტომ გაცილებით უმჯობესი იქნება, რომ აღწერის მაგიერ მოთხრობა იყოს მოყვანილი.

II

მე ვეცადე გამერკვია „Новое слово"-ს მეთოდის კარგი და ცუდი მხარეები. ეხლა ვნახოთ, როგორა აქვს თვით ავტორს განხორციელებული თავისი მეთოდი.

პირველი მოთხოვნილება ამ მეთოდისა ის არის, რომ მოთხრობა, საუბარი უნდა იტაცებდეს ბავშს (გვ. VII), ე. ი. უნდა იყოს იმდენად საინტერესო, რომ გამოიწვიოს ბავშის უნებური ყურადღება. (непроизвольное вниманіе).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მთავარი მოთხოვნილება მეთოდისა არ არის დაცული ახალ სახელმძღვანელოში. მოსალოდნელი იყო, რომ პირველი გაკვეთილი, პირველი მოთხრობა იქნებოდა ბავშვებისათვის ყველაზედ უფრო საინტერესო. მაგრამ სწორედ პირველი მოთხრობა ბავშვებისათვის მოკლებულია ყოველ ინტერესს. აი თვითონ წაიკითხეთ.

ნუცა და ვანო.

ნუცას და ვანოს დედამ უბრძანა, გაკვეთილი მოამზადეთო. ბავშვები სტოლს მოუსხდენ და წიგნები გაშალეს. ნუცამ კითხვა დაიწყო, ვანოს კი კითხვა ეზარებოდა. როგორც კი დედა ოთახიდან გავიდა, ვანო მაშინვე სკამიდან წამოხტა, ჯიბიდან ბურთი ამოიღო და თამაშობა დაიწყო.

რომელი მათგანი იყო ბეჯითი რომელი და ზარმაცი?

აი ესაა პირველი მოთხრობა. და, მე მგონია, ეს სრულიად მოკლებულია ბავშურ ინტერესს.

ამას გარდა „დედამ უბრძანა"—ძალიან ეუცხოვება ჩემს ყურს. მართალია, რუსები ამბობენ, „мама приказала, мама велѣла"-ო, მაგრამ ქართველის ოჯახში ასეთი თქმა არსად გამიგონია.

ასეთივე უინტერესოა მეორე მოთხრობა „ნიკო და მისი ბაბუა". (გვ. 3).

ლექსიურ განყოფილებაში კიდევ ხუთი მოთხრობაა. ესენი პირველ ორს სჯობია, მაგრამ მეთოდის დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლებიან.

ამ რიგათ ლექსიური განყოფილება შესდგება 7 მთლიანი მოთხრობისაგან. დანარჩენი მასალა დალაგებულია ამათ გარშემო. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ლექსიური განყოფილების გავლას 3—4 თვე მაინც უნდება, მაშინ თითო მოთხრობას მოუწევს დაახლოვებით 15 დღე. ორი კვირის განმავლობაში კი ბავშის ყურადღების ერთ მოთხრობაზე შეჩერება და მას გარშემო ტრიალი ყოვლად შეუძლებელია. როგორც დავინახეთ მოთხრობებს თავისთავადაც არა აქვთ დიდი ინტერესი და თუ ისინი კიდევ ორი კვირა ვღეჭეთ ყოველ გაკვეთილზე, ცხადია, ბავშვებს თავს მოაბეზრებთ და საგანს შეაძულებთ. ასე რომ მოთხრობის მთლიანობა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგანაც მთელი მოთხრობის, მაგ. „ნუცა და ვანოს" ქართულ და რუსულ ენაზედ გავლა ერთ გაკვეთილზედ ყოვლად შეუძლებელია. გაჭიანურება კი ინტერესს უკარგავს მას.

ყოველივე ამას გარდა ბ-ნი ოცხელი ძალიან ხშირად მიმართავს ხოლმე პირდაპირ სურათებიდან თვალსაჩინოებას, გვერდი 5, 6, 7, 9, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21 და 22. ამ გვერდებზედ მოქცეულია სურათები და მათ წინ კი არ მიუძღვის არავითარი მოთხრობა. ლექსიურ განყოფილებას უკავია სულ 24 გვერდი და ამათთაგან ნახევარი მაინც უნდება პირდაპირ სურათებიდან თვალსაჩინოებას უმოთხრობოთ. ასე რომ ავტორი ვერ იცავს თავის დანაპირებს,—„мы переходимъ отъ статьи къ картинной наглядности, а отъ послѣдней къ предметной"-ო. (გვ. VIII).

ამ რიგათ ახალი მეთოდი სანახევროდაა გატარებული „Новое Слово"-ში. ეს ჩემის აზრით სწავლებისათვის უკეთესია, მაგრამ ახასიათებს მთლიან მოთხრობათა მეთოდს, რომელიც თვით ავტორსაც ვერ გაუტარებია ბოლომდის.

III.

თვალი გადავავლოთ ანბანსაც. ასოებს თან არ ახლავს საკმაო საკითხავი მასალა და ამას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ უმთავრესი ყურადღება წერას უნდა მიექცეს და გაკვეთილის უმეტესი ნაწილიც მას უნდა მოვახმაროთო (გვ. IX). ეს მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს. ჯერ ერთი რომ დიდხანს წერა არ შეუძლიათ პატარა ბავშვებს და ამას გეიკრძალავს პედაგოგიკაცა და ჰიგიენაც. თითო ასოს ახლავს საშუალო რიცხვით ხუთ-ხუთი სიტყვა. ამის წაკითხვას მოუნდებიან ბავშები, ბევრი რომ ვიანგარიშოთ, 10 წუთი, რაც არ კმარა კითხვის შესასწავლად. მაშ წერისათვის მოგვრჩება სულ ცოტა 40 წუთი, რაც ძალიან ბევრია.

მეორეც ისა, რომ ასოების დასამახსოვრებლათ არ კმარა მარტო წერა, აუცილებელია ვარჯიშობა მათ გამოთქმაშიაც. ამას გარდა, მართალია, ბავშვებს შეთვისებული აქვთ კითხვის მექანიზმი, მაგრამ რუსული კითხვა იმდენად განსხვავდება ქართულისაგან ხმის ამაღლება-დადაბლებით (удареніе), რომ საჭიროებს ბევრ ვარჯიშობას. ასე რომ, ჩემი შეხედულებით, ამ წიგნით ანბანის სწავლა შეუძლებელი თუ არა, ძალიან გასაჭირი მაინც იქნება.

სახელმძღვანელოს უკანასკნელი ნაწილი წარმოადგენს ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნს. აქ ყოველი სტატია შეფარდებულია რომელიმე ბრუნვასთანაო, ამბობს ავტორი (გვ. X), და ამას ერთგვარ სისტემად ასაღებს. სისტემა კი მაშინ იქნებოდა დაცული, რომ ბრუნვები გამოყოფილი იყოს სიადვილის მიხედვით, ე. ი. ჯერ სახელობითი ბრუნვა, შემდეგ ნათესაობითი და ასე, როგორც გრამატიკაშია. აგრეთვე ჯერ უნდა იყოს მხოლობითი რიცხვი და შემდეგ მრავლობითი; ჯერ ერთი სქესის სიტყვები და მერმე სხვა. „Новое Слово"-ში კი არაფერი ამის მსგავსი არ არის.

მაგ., პირველი სტატიის შემდეგ, 48 გვ., გამოყოფილია უძნელესი, თანდებულიანი (предложный) ბრუნვა. ვარჯიშობა წარმოებს კითხვით: „на чемъ?" ამავე ბრუნვას უნდება მეორე სტატიაც „жадная собака", (49 გვ.) და მოცე

წინანდელი დარჩება, მთავრობის არავითარი ცვლილება არ მოხდება და სათათბიროს მოწვევასაც არ დააჩქარებენ. (რ. ვ.)

## მუშების კრება.

კესნერის ქარხნის (პეტროგრადში) მუშებმა საზოგადო კრება გამართეს, რომელმაც სამხედრო კომიტეტის რწმუნებულების არჩევნები დაამტკიცეს. ქარხნის მუშათა კომისიას ახლა უნდა სანოვაგის კითხვა წამოაყენოს და სიძვირესთან საბრძოლველი ზომები შეიმუშაოს. ამ მიზნით განზრახულია მოიწვიონ მუშათა საზოგადო კრება, რომელიც განსაკუთრებულ დეპუტაციას აირჩევს ქალაქის თვითმართველობასთან მოსალაპარაკებლად. ეს დეპუტაცია თვითმართველობას მოსთხოვს, რომ იმ მუშებს რომლებიც „სახელმწიფოს თავდაცვის" საქმეზე მუშაობენ, ყოველგვარი სანოვაგე უკლებლივ მიაწოდონ.

## მოქალაქეთა კომიტეტი.

პეტროგრადში ახლა ღიძრა აზრი, რომ დაარსონ „ობივატელების" კომიტეტი, რომელიც ქალაქისთვის სურსათის საქმეს მოაწყობს. ამ აზრს მცხოვრებთა თითქმის ყველა წრეები თანაუგრძნობენ. (რ.)

## სიძვირესთან ბრძოლა.

— 22 სექტემბერს პეტროგრადის ერთ ქარხანაში მუშებმა კრება მოახდინეს, რომელიც სანოვაგის სიძვირის საკითხს შეეხო. კრებაზე ორატორებმა განმარტეს, თუ რა საშინელ მდგომარეობაში იმყოფება პეტროგრადი და რამდენათ საჭიროა, რომ სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ ორგანიზაციული ძალებით იბრძოლონ. კრებამ მუშათა სასურსათო კომისია აირჩია; კრების გათავებისას პოლიცია გამოცხადდა, რომელმაც კრება აღკრძალულათ ჩასთვალა და დამსწრეთ დაშლა უბრძანა. ქარხნის გამგეობამ განაცხადა, რომ შემდეგისათვის შეამდგომლობას აღძრავს, რომ ამ გვარი კრებები ამ დღეებშივე გაიმართოს. კრებას დაესწრო 600 მუშა.

— ოქტომბრის შუა რიცხვებში მუშაობას დაიწყებს განსაკუთრებული სათათბირო, რომელმაც პეტროგრადში ბინებზე ტაქსა უნდა შეიმუშაოს. (დ.)

## უცხოეთი.

### „ახალი სამშობლო."

გერმანული გაზეთების გადმოცემით მთავრობამ სამართალში მისცა ამას წინათ ბერლინში ახლად დაარსებული საზოგადოება, რომელსაც სახელად ეწოდება: ლიგა „ახალი სამშობლო". ამ ლიგაში მონაწილეობას იღებენ ისეთ სახელ განთქმული პირები და მეცნიერები, როგორიც არიან: ლისტი განსი, დელბრიუკი, კოლერი, ლუიო, ბრენტანო და სხვებიც; ამავე საზოგადოებას ეკუთნოდა განსვენებული ისტორიკოსი კარლ ლამპრეხტი. „ახალი სამშობლოს" მიზანი საზოგადოების წესდებაში შემდეგ ნაირათ იყო აღნიშნული: ლიგა „ახალი სამშობლო" არის გერმანელ მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოება, რომლებიც მათი პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ შეხედულებათა დამოუკიდებლათ შეერთდენ იმისთვის, რომ საერთო ძალღონით შესძლონ იმ—კითხვების და საჭიროებათა დაკმაყოფილება, რომლებიც ევროპის ახლანდელ ომს გერმანელ ხალხის წინაშე წამოუყენებია. ლიგა ეოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუწყოს ევროპის ხალხთა ურთიერთშორის დაახლოვებას."

აი ეს საზოგადოება მისცეს სამართალში და მას სამშობლოს წინაშე ღალატი დააბრალეს. ამ ამბავმა გერმანელ მეცნიერებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მით უმეტეს, რომ ლიგის სტამბაში და ზოგ წევრის ბინაზედაც ჩხრეკა მოახდინეს და ლიგის ცირკულიარებს კონფისკაცია უყვეს. (რ. ვ.

## ბულგარეთის პასუხი რუსეთის ულტიმატუმზე.

(პეტ. დეპ. სააგენტო.)

**პეტროგრადი.** 26 სექტემბერი. სოფიაში მყოფმა საიმპერატორო ელჩმა 22 სექტემბერს ნაშუადღევის 2 საათსა და 40 წუთზე, წინა დღით წარდგენილ ულტიმატუმზე, შემდეგი პასუხი მიიღო ბულგარეთის მთავრობისაგან: „ბულგარეთის ბედს მუდამ იცავდა ბულგარელი ხალხი და განაგებდა პასუხის მგებელი მთავრობა. მეფის მთავრობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების გამო, თითქოს ქვეყნის ბედი მას გერმანელების ხელში გადაეცეს. სამეფო მთავრობა კატეგორიულად უარჰყოფს იმ გარემოებას, თითქოს სამხედრო სამინისტროში, აგრეთვე სხვა და სხვა ჯარის შტაბებში გერმანელი და ავსტრიელი აფიცერები იმყოფებოდნენ; თუმცალა დარწმუნებულია, რომ კერძო შემთხვევებში ჯარში უცხოელ აფიცრების ჩარიცხვა არაფრით არ უნდა ჩაითვალოს მტრულ ნაბიჯად, არც ისეთ გარემოებად, რომელიც უქადის ბულგარეთის დამოუკიდებლობას და სუვერენულ უფლებებს. ულტიმატუმის დასკვნა იქიდანაა გამოტანილი, რომ ბულგარეთის მთავრობამ კერძო კრედიტს მიმართა და აგრეთვე ვითომც გერმანელი ბანკები დაიხმარა, რათა ასეთ აუტანელ დროს სახელმწიფოსათვის შეძლება მიეცა შეესრულებინა მოვალის ვალდებულებანი საზღვარგარედ და საიმპერატორო მთავრობის წინაშე. ასეთი დახმარების გაწევა ყოველივე სახელმწიფოს მოვალეობაა, რომლისათვისაც კი ძვირფასია ბულგარეთის პატიოსანი სახელი.



დამსახურებული მსახიობი ქალი
**ეფემია მესხი.**
(წრევანდელი სეზონის გამო).

ბულგარეთის ჯარის მობილიზაციის განმარტების შემდეგ ისეთი დასკვნა, რომელიც ულტიმატუმშია გამოთქმული, არამც თუ ყოვლად უსაფუძვლოა, არამედ ცხადად ტენდენციური. საიმპერატორო ელჩი ბულგარეთის მთავრობას ემუქრება, ბულგარეთს დავსტოვებ, თუ 24 საათის განმავლობაში ბულგარეთის მთავრობა კავშირს არ შესწყვეტს რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა ჯგუფთანაო. ამით იგი ბულგარეთს მოუწოდებს თავი დაანებოს ახლანდელ ნეიტრალურ მდგომარეობას, რასაც უეჭველია დიდი გავლენა ექნება რუსეთის მოკავშირეთა სასარგებლოდ. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, თუ ბულგარეთი თავის ახლანდელ პოლიტიკის წარმოებას განაგრძობს, მას არ ძალუძს საიმპერატორო მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების შეცვლაზე რაიმე გავლენის მოხდენა, მას დარჩენია ნაღვლიანი გულით გულწრფელი მწუხარება გამოსთქვას იმის გამო, რომ ყოველივე ცდა და ღვაწლი ბულგარეთის ხალხისა და მთავრობისა ძმურ რუსეთთან მჭიდრო ერთობის განსამტკიცებლად, ამაოდ ხდება და ირღვევა არა მისი სურვილითა და ინიციატივით".

ზემოდ მოყვანილი ბულგარეთის პასუხი რუსეთის ულტიმატუმზე ამოწმებს, რომ მეფე ფერდინანდისა და რადოსლავოვის მთავრობა ამაოდ სცდილობს უარჰყოს სავსებით ნათელი ფაქტები, რომელთა გამართლებაც ხალხის წინაშე მათ არ ძალუძთ. ახლა განცვიფრებას იწვევს მთავრობის პროტესტი იმის გამო, რომ ბულგარეთს სწამებენ, თითქოს ბულგარელი ხალხის ბედ-იღბალი ამ ჟამათ გერმანელების ხელში გადაეცათ. განსაცვიფრებელია აგრეთვე მტკიცება, რომ ბულგარეთის სამხედრო სამინისტრო არ სარგებლობს გერმანელი და ავსტრიელი აფიცრების დახმარებით. ბულგარეთის მთავრობის ასეთი არა გულწრფელი განცხადებანი სხვათა შორის უარყოფილია პოზნანიდან ბულგარეთს გაგზავნილ რადიო-დეპეშით. მეტია შეჩერება სხვადასხვა განმარტებებზე თითქო ბულგარეთის ნეიტრალიტეტი მოთავსდებოდეს რუსეთთან მეომარ სახელმწიფოების აფიცრების ჯარში მიწვევასთან ერთად. რაიცა შეეხება ბულგარეთის გადმოცემას გერმანელთა საფინანსო „კაბალაში", რასაც თვით ბ-ნი რადოსლავოვიც არ უარჰყოფს, განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ, თუ მეომარი სახელმწიფო ნეიტრალიტეტი სახელმწიფოს საფინანსო დახმარებას უწევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პირველს იმედი აქვს მეორის დახმარებისა? აგრეთვე თვალთმაქცობაა ბულგარეთის ცნობა იმ პირობების შესახებ, რომელიც თითქოს ბულგარეთის მთავრობას შეუქმნია რუსეთთან მჭიდრო კავშირის განსამტკიცებლად. საიმპერატორო მთავრობა მას წინდაწინვე უარყოფილად სთვლის ამა წლის 24 სექტემბრის ცნობით.

## ბალმონტი ჩვენ შორის.

სულ მალე გვეწვევა კონსტანტინე ბალმონტი. ჩვენი შორეული მეგობარი იქნება ჩვენ შორის. ცეცხლის და მზის მადიდებელს შეუყვარდა ჩვენი „ყვავებული" ქვეყანა.

მან სთქვა:

როცა ქმნიდა ის ამ ქვეყნის ბრძანებელი,
და რომ დადგა ყველა წამზე ტურფა წამი...

მაშინ შეჰქმნა ნათელმა შემოქმედმა დიდება და შვენება საქართველოსი, მყინვარი.

და კიდევ:

ზევით თოვლი, ძირს კი ჭვავის უცვილნარი,
შენ გსურს ღმერთი? ამოქრთდი, ის აქ არი.

ამგვარია მის სიმღერაში სილამაზე ჩვენი ქვეყნისა...

ბალმონტმა თითქმის შემოიარა მთელი ჩრდილოეთი, ის იყო დაშორებულ მექსიკაში და პოლინეზიაში, მან ნახა ინდოეთის იდუმალი სილამაზე, მას შეუყვარდა „მზიური" ესპანელები... ბოლოს ის იყო საქართველოში, ჩვენს თფილისში, სადაც მას პეშმარიტი ქართველური შეხვედრა გაუმართეს. აი რა სთქვა ბალმონტმა, საქართველოდან დაბრუნებულმა:

„ქართველები სცხოვრობენ გრძნეულ სილამაზეში და არსად არ არის ხალხი ისეთი კეთილი და მოყვარული, როგორც საქართველოში. გასაკვირია მათი გრძნობიერობა. ეს ხალხი მეტათ ბევრის ღირსია"-ო

ბევრმა დიდმა უცხოელმა ჩვენში მოსულმა, მით უმეტეს მოსულმა ბალმონტის ქვეყნიდან, ვერ იგრძნო, ვერ მიხვდა ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვინდა და რისიც ღირსნი ვართ. ბალმონტი კი ჩვენი მეგობარია ყოველთვის და ყველაფერში. დღეს-ხვალ ის ჩამოვა თფილისს და შემდეგ ეწვევა ჩვენს ქალაქს.

კეთილი და მოყვარული ქუთათურები, კიდევ ერთხელ გამოიჩენენ ლამაზ გრძნობიერებას და შესაფერ ყვავილს შესთავაზებენ მთელი საქართველოს ღირსეულ მეგობარს.

მოსვლა მისი, ვინც ღრმათ იგრძნო საოცნებო რუსთაველი, ერთგვარი დღესასწაულია.

იყოს ეს დღესასწაული გულწრფელი მხიარული და ხალისიანი!

**პაოლო იაშვილი.**

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

✦ უკვე საბოლოოდ გადაწყდა საკითხი: სოფელ ვანში (ქუთ. მაზრა) დაარსდა პირველ-დასაწყისი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის პირველი ორი განყოფილება მოქმედებას დაიწყებს მომავალ ოქტომბრიდან. საჭიროა ორი ახალგაზდა მასწავლებელი, ენერგიით სავსე, სკოლისათვის დაუღალავი მუშაკი და საზოგადო ასპარეზზე მუშაობის მოყვარული.

✦ პარასკევს, 2 ოქტომბერს ელექტრო თეატრ „რადიუმში" გაიმართება სეანსები ფრიად საპატივო მიზნით და ქალბატონ მ. გ. აბაშიძის მეთაურობით. იმედია საზოგადოება ყურადღებით მოექცევა ამ სეანსებს.

✦ ქალაქის გამგეობის სასკოლო კომისიამ სასურველათ სცნო, მიეცეს ქალაქის სკოლებში მასწავლებლებს ალექსანდრინა შავარდნაძეს და გიორგი მემარიშვილს.

✦ გუშინ, 29 ეკენისთვეს, დასრულდა სათადარიგო ჯარის კაცთა შემოწმება.

✦ კვირას, 27 სექტემბერს, ქუთაისის გუბერნიის; არაჩვეულებრივ კრებაზე ამოირჩიეს მეფის მოადგილის დასახვედრათ ქუთაისში შემდეგი პირნი: თ-დ. გ. ერისთავი, თ-დ. წერეთელი, ს. ი. მხეიძე ვ. პილიძე და კ. ნ. ჩიკვაიძე.

✦ 28 სექტემბ. თფილისის სასამართლო პალატა უკვე შეუდგა ქუთაისში საპელაციო სისხლის სამართლის საქმეების გარჩევას.

✦ 1 ოქტომბრიდან დ. ახალსენაკში იხსნება კერძო ოთხ კლასიანი სასწავლებელი ქალ-ვაჟთათვის, მოსამზადებელი განყოფილებით.

✦ ქუთაისის სადგილ მამულო ბანკის გამგეობამ უკვე შეადგინა სია იმ პირთა, რომლებსაც არ შეუტანია ბანკის გადასახადი და მათი საჯარო ვაჭრობა მოხდება ამ მოკლე ხანში.

✦ ქუთაისის რამდენიმე ვაჭარმა თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას თივაზე ნიხრის მომატების შესახებ.

## თბილისი.

**ქართველ გადმოხვეწილთა რიცხვი.** ბ-ნი დ. ჰიპრიშვილი, რომელიც ქართველ საზოგადოების მხრივ მონაწილეობას ღებულობს გადმოხვეწილთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად გამართულ თათბირში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, დეპეშით სთხოვს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, რომ [illegible] ქართველ გადმოხვეწილთა [illegible]

**ნახევარი მილიონი მანეთი გადმოხვეწილთათვის.** შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე სექტემბრის ათი რიცხვიდან, სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელთა მონაწილეობით, თათბირია გამართული იმის შესახებ, თუ რა დახმარება აღმოუჩინონ გადმოხვეწილთ. ქართველ საზოგადოების მხრივ თათბირში მონაწილეობას ღებულობს ნაფიცი ვექილი ბ-ნი დ. ჰიპრიშვილი. ამ უკანასკნელისაგან ამას წინად ცნობა მოუვიდა თბილისის გუბერნიის თ-ვად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, რომ თათბირმა გადასწყვიტა გამოქცეულთა სასარგებლოდ მილიონი გადასდვას და ამ ფულის გაგზავნას აპირობენ ერევანსა და ყარსში. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა მაშინვე დეპეშით სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ხსენებული თანხა მეფის ნაცვლის განკარგულებაში გამოეგზავნეთ. 27 სექტემბერს თავ. ჩოლოყაშვილმა დეპეშა მიიღო ბ-ნ ჰიპრიშვილისაგან, რომ ნახევარი მილიონი მეფის ნაცვალს გაეგზავნება, ხსენებულ საჭიროების თანაბარ დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა ეროვნების შვილებ-შორისო.

**თავისუფალი სტიპენდიები.** ქალაქის თვითმართველობას ამ ჟამად შემდეგი თავისუფალი სტიპენდიები აქვს: პირველ საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია; მეორე საქალო გიმნაზიაში ერით სტიპენდია, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა; მესამე საქალებო გიმნაზიაში 3 სტიპენდია გოგოლის სახელობისა; მეოთხე საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია თბილისში დაბადებულთათვის; მეხუთე საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია; მეხუთე ვაჟთა გიმნაზიაში 2 სტიპენდია შახოროვის სახელობისა და რეალურ სასწავლებელში ერთი სტიპენდია სომეხთათვის.

# რაჭა

შიმშილობის მოლოდინში!

თუ ვოდნავათ სადმე სუფევს შიში მოსალოდნელ შიმშილობის გამო, ასეთ—ემოციას არც თუ უგზო-უკვლოთ მიტოვებული რაჭაა მოკლებული. ყველას—მოეხსენება, რომ რაჭაში კარგ ნაყოფიერ წელიწადსაც არ მოდის იმოდენი სარჩო, რომ საწყალ გლეხს თარიოდე გრომის საშოვნელათ—საწანწალოთ არ გაუხდეს საქმე, და წელს ხომ ცუდმა წელიწადმა, თითქმის მთელათ უნუგეშოთ დასტოვა—მცხოვრებლები. ძვირათ ნახავთ ისეთ შეძლებულ ოჯახს—სარჩო წლის ბოლომდის გაჰყვეს. უმეტესათ კი კარგი უნდა შობამდინ გაიტანონ თავი და თუ ამას—დაუმატებთ იმას რომ მრავალი ოჯახები-ომის გამო ქალების—ამარაა მიტოვებული, ჩვენს წინ საშინელი სურათი გადაიშლება. სავალალო ის არის—ასეთ მწარე დროს, რომელსაც მთელი სახელმწიფო განიცდის, როგორც არა ერთხელ აღნიშნულა ჟურნალ-გაზეთებში. თვით ცენტრ, რკინის გზებით გადამბულ ქალაქებშიაც სჭირს სურსათის შემოტანა, თორემ ასეთ უგზო-უკვლოთ მიგდებულ მხარისათვის ყურს ვინ შეიბერტყს. ზოგიერთებს—ისეთი მოკლე შეხედულებაც კი აქვს ასე გონიათ: „ქალაქს არ შეუძლია ერთ წუთს უსმელ უჭმელი გასძლოს, თორემ სოფელში ყველაფერი მოხერხდება, ჭიოლათ წავლენო„. ვიმეორებ ასეთი აზრი შემცთარია; ეს კი ეხლავე ცხადია—რაჭას განსაცდელი მოელის; მას მალე გზები აღარ ექნება და საძაგელ შიმშილობით გამოუსვლელ მდგომარეობაში ჩავარდება. სულ სამი გზაა რაჭაში შესასვლელი. სამხედრო ოსეთის გზატკეცილი, რომელიც ყოფილ საშინელ ნიაღვრების გამო დღესაც საძაგლათ დანგრეულია და ხაზინას არაა სცალია მის შესაკეთებლათ, ნაქერალის—და კავკავიდან მამუსიონის ქედით—გადმოსავალი გზები. აღნიშნული გზები კი ზამთრათ შუა გიორგობისთვიდან შუა გაზაფხულამდის დიდი თოვლის მიზეზით [illegible] პილიო ურმების მოძრაობა შეწყვეტილია. ამიტომ ბატონებო, თუ საიდანმე ვინმე რამეს ფიქრობს ცოტა ოდნათ მიანც დაეხმაროს მოუსავლიობით დაზარალებულ რაჭველობას, სჯობს დროით სანამ ჯერ კიდევ გზები გახსნილია, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება თითზედ კბენანი.

**იოლა.**

---

მულია სავარჯიშოდ კითხვები „ВЪ ЧЕМЪ" და „ГДѢ." სადავო არაა, რომ ბრუნვების კითხვებში ეს კითხვები უძნელესია. მაშასადამე ავტორი იწყებს უძნელესი ბრუნვიდან, რაც სრულიად შეუწყნარებელია.

მეორედ გამოყოფილია მიცემითი ბრუნვა (გვ. 52) კითხვაზედ „КОМУ?" ესე იგი თანდებულიანი ბრუნვიდან გადადის მიცემით ბრუნვაზედ და უსულო საგნების სახელებიდან სულიერისაზედ. ეგ რა სისტემაა მე არ მესმის! მესამედ გამოყოფილია ნათესაობითი ბრუნვა (გვ. 55), შემდეგ სახელობით მრავლობითი რიცხვისა (გვ. 58) და ისიც არეულია ერთიმანეთში, როგორც უსულო და სულიერი საგნები, ისე მამრობითი და დედრობითი სქესების დაბოლოვება. შემდეგ შეგხვდებათ ნათესაობითი ბრუნვა მრავლობითი რიცხვისავე ისევე არევით. ქვევით არის მოქმედებითი ბრუნვა სხვა და სხვა დაბოლოვებისა და აგრეთვე ზედსართავ სახელთან ერთად. შემდეგ გამოყოფილია მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები. ასეთია ბ-ნი ოცხელის „სისტემა" ბრუნვების შესწავლაში.

ამ რიგათ მიუდგომელმა კრიტიკამ დაგვანახა, რომ „НОВОЕ СЛОВО" უხერხულ მეთოდზედაა შედგენილი და არც ეს მეთოდია შიგ დაცული. არაა აგრეთვე მასში პედაგოგიური თანდათანობა და არც სისტემა უვარგა.

## IV

გამოცემის მხრითაც ეს წიგნი ჩვეულებრივი ჩვენებური გამოცემაა, ე. ი. მოკლებულია ყოველგვარს მხატვრულ და ესთეტიურ ღირსებებს. არ იქნა და ჩვენ ბავშვებს არ ეღირსათ ხეირიანი გამოცემა. არც ერთი ჩვენში გამოცემული ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი არ აკმაყოფილებენ და არ ავითარებენ ბავშვის ესთეტიურ გემოვნებას, პირიქით, უმახინჯებენ მას. ამ მხრით არც „Новое Слово"-ა გამონაკლისი.

მაგალითისთვის ავიღოთ 1 გვერდზედ მოქცეული სურათი. ქალს მარჯვენა ხელში ქოლგა უჭირავს და მარცხენათი ბავშვს ემუქრება. ეს არაა ბუნებრივ (ქესტიკულიაცია მარჯვენა ხელით ხდება საზოგადოთ). ამ მანდილოსნის პოზა უფრო მანეკენს მოგვაგონებს და არა ცოცხალ არსებას: დასამუქრებლად აწეულ ხელს საჩვენებელი თითი და ცერი ორივე აგრე გაშლილი არ უნდა ჰქონდეს და ქოლგაც მარცხენა ხელში უნდა ეჭიროს ტანთან უფრო ახლოს.

მეორე სცენა ამავე ოთახში მკრთალათ არის დახატული ფანჯარით და ძნელი საცნობია იგივე ბდგილი და მომქმედნი პირნია ესენი თუ სხვები. რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ ამ შემთხვევაში ალბათ მწე უწყის...

„მარო და მისი ფისუნია" გვარიანი სურათი იქნებოდა, რომ მაროს უფრო ბავშური სახე ჰქონდეს და კატის თათი ისე უხეიროთ არ ეჭიროს ხელში. შესრულების მხრით არც დანარჩენი სურათებია დამაკმაყოფილებელი. კარგია მხოლოდ „ხარბი ძაღლის" პოზა, მაგრამ ხიდი აქაც არ ვარგა.

განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს ყვავი და დოქი (გვ. 14). აქ დახატულ ჰურჭელს შეუძლებელია დოქი ვუწოდოთ, როგორც მოყვანილობით, ისე დაბალი ყელით. ის დერგს (ხალამს) უფრო ჰგავს, მაგრამ მხატვარს ხელი გაუკეთებია მისთვის და ამიტომ კოკად უნდა მივიღოთ. ახლა ყვავს დამიხედეთ ერთი! ის სწორედ ამ ვეებერთელა ჰურჭლის ოდენაა, არც მეტი, არც ნაკლები. ნეტა სად გვაონილა კოკის ოდენა ყვავი?

საერთოდ სურათებში პროპორცია არაა დაცული, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

**პ. ჭანიშვილი.**

# აჭარლების საქმე.

(გაგრძელება)

**დამცველთა სიტყვები.** ბრალმდებლის სიტყვის შემდეგ დამცველთაგან პირველათ ლაპარაკობს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ა. გ. მუატი.

მან ჩამოსთვალა ბრალდებულთა დანაშაული და სთქვა: დამცველები მართალი იყვნენ, როცა განაცხადეს, რომ დღეს აქ ასამართლებენ არა კერძო პირებს, არამედ აჭარელ ხალხსო. უკეთუ ყადი ბერიძე სასიკვდილო პასუხის გებაში მისცეს, მხოლოდ იმისთვის, რომ მან კერძო ბაასის დროს ამბავათ სთქვა, რომ ქვანის ხეობა ოსმალებმა აიღეს და იქ მათი დროშა ბლმართესო, თუ ამისთვის ბერიძეს სიკვდილით დასჯა მოელის, ვინ არის იმის თავდები, რომ ხვალ სხვა აჭარელსაც, ასეთი ამბავის გავრცელებისათვის არ მისცემენ პასუხის გებაში?! ასეთი ნამდვილათ მომხდარი ამბავის დამალვა კი აჭარლებს არ შეუძლიათ, როგორც ჩვენ, ბ-ნო მსაჯულნო, ვერ დავფარავთ მტრის მიერ ვარშავის დროებით დაპყრობას (ოკუპაცია). აი ამას უფრთხიან დამცველები და ამიტომ ეშინიათ მათ მთელი ხალხის ბედის.

ამის შემდეგ დამცველი ეხება ბრალდებას: ბერიძე, მეხუშიძე, ბოლქვაძე, ბეჟანიძე და დედაბერი ოლლისას და, ემყარება რა მოწმეთა ჩვენებას, ამბობს, რომ მათ არამც თუ ჩაუდენიათ ეს დანაშაული, არამედ ასეთ დანაშაულს სულ არ ჰქონია ადგილი აჭარაშიო. დამცველი ითხოვს ბრალდებულები სრულიად გაამართლონ.

მეორე დამცველი (სასამართლოს დანიშნული) კაპიტანი სახნოვსკი; მარჯან დევაძის ვექილი, ბ-ნ მუატის მიერ მოყვანილ საბუთებს ეთანხმება და თავის მხრით დასძენს, რომ დეპუტაციაში, რომელიც აჭარლებმა მიუგზავნეს ჩეთნიკებს, ერია ყადი ბერიძე. ყადი ჩეთნიკებმა ტყვეთ წაიყვანეს იმისთვის, რომ ის გადაეცათ მისი მოსისხარი მტრის რუსეთიდან გაქცეულის ასლან ბეგი აბაშიძისათვის. ასლან ბეგმა კარგათ იცოდა, თუ რა პატივის ცემით ეპყრობოდა მთელი აჭარა ყადი ბერიძეს. იცოდა, რომ ამის შემდეგ სარწმუნოებით ფანატიკების მიმხრობა გაადვილდებოდა. ის დაემუქრა სიკვდილით ბერიძეს, ძალათ მისცა თოფები და პატრონები და მათ მიღებაზე ხელიც მოაწერინა. გამოართვა თოფებიც, მაგრამ თოფით ხელში ის არავის უნახავს. პირიქით, ის გამოეპარა ჩეთნიკებს, მოვიდა ხულოში და იქ ემხრობოდა რუსის ჯარს. ამის მიხედვით ის ითხოვს ყადი ბერიძის სრულიად გამართლებას. ამის შემდეგ ბ. სახნოვსკი იცავს მარჯან დევაძეს და ამბობს, რომ მარჯანის სახელი თვით ბრალმდებელმაც ერთხელ ახსენა მხოლოდ და იგიც მარჯანის სასარგებლოთ.

რაიცა შეეხება ბერსელიძის მოწმობას, ეს საკვირველი არ არის, რადგან მოწმე შურს ძიობს. მოწმე ურიადნიკი ტარანენკო ამბობს, რომ მარჯანმა მითხრა, რომ ჩემი თოფი (ვინტოვკა) ბერსელიძეს მივაბარეო, რომელსაც გაჩხრეკის შემდეგ აღმოაჩნდა და კიდეც ჩამოვართვითო. დამცველი აღნიშნავს აგრეთვე მოწმე ურიადნიკი კასიანოვის ჩვენებას. კასიანოვმა განაცხადა, რომ ტყვეობიდან გაქცევა მარჯანმა მიშველა. დამცველი მსაჯულებს მოაგონებს აგრეთვე სომეხ პუჩინიანის ნათქვამს, რომ მარჯანი, როცა ართვინში იყო, დიდ მფარველობას უწევდა სომხებსო. ამიტომ დამცველი სთხოვს მის გამართლებას.

ვექილი გ. ნ. ანჯაფარიძე ამბობს, რომ ბრალდებულის სკამზე სხედან მხოლოდ მუსულმანები, რომელთა საწინააღმდეგო და გასამტყუნებელ ჩვენებასაც იძლევიან მხოლოდ სომხები. სხვა დროს და სხვა გარემოებაში ეს საკვირველი არ იქნებოდა, მაგრამ ამ საშინარ დროს, როცა ერთი მეორეს შორის დამოკიდებულება [illegible]ებულია, მეტადრე, როცა სომხები [illegible]ულმანები არამც თუ ოსმალებში, ჩვენშიაც (კავკასიაშიაც) მტრულ განწყობილებაში არიან. მდგომარეობა იცვლება. დამცველი ამტკიცებს, რომ ბათომის ოლქშიაც ოსმალები მხეცურათ მოექცნენ სომხებს და, მისი აზრით, ამ რბევა-აწიოკებამ გააბოროტა მოწმე სომხები და აამხედრა შურის საძიებლათ. ცხადია, სომხები მუსულმანებს მოწყალეთ და გულგრილათ ვერ მოეპყრობიან. დამცველი ითხოვს სომხების ჩვენებას სასამართლო სიფრთხილით მოექცეს.

დამცველი ი. მაჭავარიანი გრძნობიერ სიტყვაში ამბობს, რომ აჭარლებს არავითარი შიში არ ჰქონდათ რუსეთისათვის ეღალატნათ, შეიძლება ბრალდებულები დამნაშავენი იყვნენ იმაში, რომ მათ გმირობა ვერ გამოიჩინეს, მაგრამ ამისთვის დასჯა ხომ არ შეიძლება.

ვექილი მგ. გეგეჭკორი დაჟინებით იმეორებს, რომ დღეს ასამართლებენ აჭარის მთელ ხალხს, ყველა აჭარელი დღეს პასუხისგებაშია და სასამართლო არჩევს ცხრა კაცის საქმეს, ერთი კვირის შემდეგ გაასამართლებენ ორმოცდა ცხრა კაცს, შემდეგ სამოცდა თვრამეტს და ასე მიყვებიან. დამცველი სასამართლოს განაჩენის წინაშე, რანაირიც უნდა იყოს ეს განაჩენი, ქედს იხრის, რადგან მას ახსოვს, რომ არის კიდევ უმაღლესი სასამართლო—ისტორია და ეს ისტორია იტყვის, რომ აჭარლები მოღალატეები არ არიან და ღალატი არ ჩაუდენიათ. მისი აზრით, ბრალდება იმდენზე მოკლებულია დასამტკიცებელ საბუთს, რომ ბრალდებულები ყველა უნდა იქნას გამართლებულნი.

უკანასკნელ სიტყვას ამბობს ვექილი მ. ფილავა, მისი აზრითაც, არც ერთი. მოწმე პირადათ ნახულსა და გაგონილზე კი არ ემყარება, არამედ მოგვითხრობენ სხვისგან განაგონს. სომხების მოწმობასაც არ შეიძლება სრულის ნდობით მოვეპყრათ, სასამართლოს განაჩენი უკვე ვიცით. „მ. დ."

# ხმა თამაკონიდან.

(სამეგრელო)

როდესაც მთავრობა რომელიმე კულტურულ დაწესებულების დაარსებას განიზრახავს სოფლად და ამის შესახებ აღიძრება საკითხი ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, მაშინ თითქმის ყოველი სოფელი, ყოველი კუთხე წამოჰყოფს თავს, ასტეხენ ერთ განგაშს, ადგენენ განაჩენს განაჩენზე, უგზავნიან სათანადო მთავრობას დეპუტაციებს, თხოვნებს ეხვეწებიან—ემუდარებიან, ეს დაწესებულება ჩვენ გვერგება, ჩვენი მხარეა ცენტრიო; ყველას სურს ხსენებული დაწესებულება მის კართან, მის სიახლოვეს დაარსდეს და სრულიად არ უწევენ ანგარიშს იმ ფაქტს, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის დაწესებულება ხსენებულ მხარეს; ხშირად ამისთანა ანორმალურ მოვლენას მთავრობა შეცდომაში შეჰყავს.

ერთს ამისთანა შემთხვევას ჰქონდა ადგილი ახლა ზემო სამეგრელოში. როგორც ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, სამოსწავლო მთავრობას განუზრახავს უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლებთა დაარსება და, სხვათა შორის, განზრახულია სენაკის მაზრის სხვა და სხვა კუთხეში გახსნას ექვსი ასეთი ტიპის სკოლები. ერთ რაიონად თამაკონის საზოგადოებაა ნახსენები. ვინც თამაკონის ადგილ მდებარეობაზე არის დაკვირვებული და შორიახლოდან იცნობს მას, თუ ის პირადი ინტერესებით არ არის გამსჭვალული და საღი გონებით თუ განსჯის, ის უეჭველად დამერწმუნება, რომ თამაკონი ცენტრია არა თუ ხსენებულ სასწავლებლისთვის, არამედ უფრო, მსხვილ საზოგადო დაწესებულებისთვისაც, რადგანაც: 1) თვით თამაკონი საკმაოთ დიდი საზოგადოებაა (შესდგება 5 ვრცელი სოფლიდან); 2) მას აღმოსავლეთით აკრავს ისეთივე დიდი სალხინოს საზოგადოება, დასავლეთით ფოცხოს—, ჩრდილოეთით ვიწიის—და სამხრეთით ნაწილი აბედათის საზოგადოებისა; ასეთ პირობებში აქაურ დაწესებულებას თამამად შეუძლია 12—15 ათასამდე მცხოვრებთა მოთხოვნილებას ემსახუროს. ვერც ერთი სამეზობლო სოფლები, ვერც ერთი—საზოგადოება ზემო სამეგრელოში ასეთი მოხდენილი ცენტრი არ არის, თუმცაღა კი, როგორც დანამდვილებით ვიცით, ამ მხარეში არ დარჩენილა არც ერთი სოფლის საზოგადოება, რომ ამ სასწავლებლის მთხოვნელი არ იყოს.

მიუხედავათ ბევრი ხელის შემშლელ პირობებისა, მიუხედავათ იმისა, რომ დღემდის გლეხობა გარძ.ხოდა არ გვინდა სკოლა, მამას არ უსწავლია და ბაბუასო, რა ჩვენი საქმეა სწავლაო, სჩანს, შეიგნო ხალხმა, რომ ის უსწავლელად სიღარიბიდან თავს ვერ დააღწევს. 14 ამა სექტემბერს საზოგადოებამ ფრიად სასიამოვნო განაჩენი გამოიტანა, დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე, რომ დაარსდეს თამაკონში ხსენებული სასწავლებელი, რომელსაც საზოგადოება ამ თავით მუქთად უთმობს საჭირო შენობებს, შემდეგისათვის საზოგადოებამ იკისრა თავისი ხარჯით აგოს მთავრობის მოსაწონი საშკოლო შენობა, დაუთმოს უფასოთ საჭირო მიწა და ყოველწლობით შეიტანოს სკოლის სასარგებლოთ თითოეულმა ათასი მანეთი...

დროა, ბატონებო, შევიგნოთ, ხელი ავიღოთ შენ-ჩემიანობაზე, პირადი ინტერესები ვანაცვალოთ საზოგადო საქმეს, შევკრათ კავშირი და შევერთდეთ, საზოგადო საქმეს საზოგადო ძალით შეუდგეთ, ყოველგვარი საზოგადო დაწესებულების დაარსებაში ვიქონიოთ საზოგადო მსჯელობა, თუ არა შეიძლება კრილოვის არაკისავით დაგვემართოს და მაშინ გვიან იქნება თითზე კბენანი.

დავსძენთ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ამ რაიონის სახალხო სკოლების ახალი ინსპექტორი ბ. ს. დ. გეგუა, როგორც დიდად გამოცდილი და საქმეში ღრმად ჩაკვირვებული კაცი, დასდევს თავის პირუთნელ მსჯავრს და მხარს დაუჭერს ასეთ პუნქტს—თუ ეხლა არა, ამ მხარის დათვალიერების შემდეგ მაინც.

მკვიდრი.

# პროვინციის ცხოვრება.

**საჩხერე** (შორაპნის მაზრა). აქ დაარსდა სამუდამო სცენის მოყვარეთა ჯგუფი დ. აბდუშელის რეჟისორობით, რომელიც სერიოზულათ ეკიდება თავის საქმეს. ბ-ნმა აბდუშელმა, სცენის მოყვარეების დახმარებით, მშვენიერათ მოაწყო ბევალოვის სახლებში ფართო სცენა, სადაც შეიძლება გაიმართოს სხვა და სხვა ისტორიული პიესები.

პირველი წარმოდგენა გამართეს კვირას, 20 სექტემბერს. წარმოადგინეს 3 მოქ. კომედია „შენი—ჭირიმე" და ვოდევილი „დედის ერთა" შალვა დადიანისა. ბევრი დაესწრო რაც საჩხერლების ცხოვრებაში სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, თითქმის ყველანი კარგათ ასრულებდა თავის როლს. აგრეთვე იყო მტკიცეთ დაცული წესრიგი, რომელიც საჩხერეში წარმოდგენების დროს იშვიათი მოვლენა იყო.

ნახევარი შემოსავალი ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ გადაიდვა.

შალიკო ხუჭაბუნელი.

# ღია წერილი

(ლაილაშის აფთიაქარს ბ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს დოლაქიშვილს).

მ. ხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძევ! რადგან ჩემგან მიცემულ ანგარიშს ვერ დაუკმაყოფილებიხართ და ავრცელებთ თურმე ჩემზე უმართებულო ხმებს, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. ჩემი მხრით ვასახელებ კკოლ დოლიძეს და ამბაკო რაზმაძეს; დიდიან განცხადებისა პასუხისთვის გაძლევთ ერთი კვირის ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვარ მივმართო თქვენი ქცევის შესაფერ ზომებს.

მატ. ვ. ახვლედიანი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს" №-ში.

სამშობლოს 180 №-ში მოთავსებულია ბ. გ. ი. წერილი „სიძვირე", ის სხვა მეძვირეთა შორის პროვინციის წიგნის სავაჭროსაც იხსენიებს და მეტ ბრალსაც სდებს, თითქოს ის შემთხვევით სარგებლობდეს, ნახმარ თუ ახალ წიგნებს მუქთათ იძენდეს და დიდ ფასებში კი ყიდდეს. ბ. გ. ი. რომ გაეცნობოდა ამ ვაჭრობა-წარმოებას, ასეთ შეცდომაში არც თვითონ შევიდოდა და არც მკითხველ საზოგადოებას დააფიქრებდა. რომ ბ. გ. ი. გამოვიყვანოთ შეცდომიდან მოვიყვანთ შემდეგ ნამდვილ ცნობას: მაღაზია სამოსწავლო წიგნებს სასწავლებლებში სწავლის დასრულების შემდეგ ყიდულობს, მოწაფეები ყიდიან ისეთ წიგნებს, რომელიც მომავალში მათთვის საჭირო არ არის, და გაყიდვაც ხელსაყრელია. ამავე დროს გაუგებარია მომავალ სწავლის დაწყებისას, წასული წლის სასწავლო წიგნები იქნება ხმარებაში თუ არა, რაიც ხშირათ ხდება. ასე რომ ყიდვა ძალიან სარისკო საქმეა. ამიტომ იმ მოსაზრებით, რომ ნახევარი მაინც გაიყიდოს და ზარალი არ ნახოს სავაჭრომ, ყიდულობს, ამ სახით მეხუთედათ შეოთხედათ მცსამედათ და კარგ შენახულ სუფთა წიგნებს ნახევარ ფასათაც. ასეთს ნაყიდ წიგნებს ყიდის ზოგს ნახევარ ფასათ, ზოგს მეტათ და უმეტეს ნაწილს კი ნაკლებათ. ამ შემთხვევაში მყიდველი თუ გამყიდველი, დღემდე მომდურავი არ ყოფილა. პირიქით, საშუალო სასწავლებლების მოწაფეები, რომლებმაც უნდა გადიხადონ ოცდა ათი მანეთი წიგნებში, აქ იძენენ თორმეტ-ცამეტ მანეთად. რაც შეეხება იმას, რომ, ვითომც მაღაზია დიდ მოგებას იღებდეს, ამაში რომ დარწმუნდეს ბ. გ. ი., ვსთხოვთ მობრძანდეს ვინმე პატიოსანი მცოდნე მეწიგნესთან ერთად გაეცნოს სავაჭროს მდგომარეობას, რასაც თავისი პატიოსანი თვალით ნახავს ხუთი ათას წიგნზე მეტს დარჩენილ გამოცვლილ, სახელმძღვანელოებს. სამოსწავლო წიგნი ხომ შაბიამანი და შაქარი არ არის ან სხვა რაიმე ნივთები და სანოვაგე, რომ მუდამ გაიყიდოს და საჭირო იყოს ყველასათვის. სახელმძღვანელო რომ ხმარებიდან გამოიცვლება, მერმე ის მანეთიანი ერთ შაურათაც არავის უნდა. რაც შეეხება კალმისტარების, კარანდაშების და რვეულების სიძვირეს, ეს ნივთები მაღაზიას არა აქვს გასაყიდი. ამ ნივთების ხელოვნურათ გაძვირება ეკუთვნის სხვა წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიებს.

„პროვინციის" მაღაზიის გამგე.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო: პარიკმახერ პორფილე პატარიძესა და ფოტოგრაფ ჯავახაძეს, რომელთაც სრულიად უფასოდ დამითმეს ტანისამოსი 15 მარიობისთვის, ს. ჭალასთავში ჩემ მიერ გამართულ უფასო წარმოდგენისთვის.

აგრეთვე უღრმეს მადლობას ვწირავ ბბ. პარმენ უიფიანს, მენადი დარახველიძეს, [illegible]რიან ჭიჭინაძეს, გუგური პატარიძეს, კ[illegible]. სიმონიძეს, ქქ. საშა კუპრაშვილს, ანა კ[illegible]ძეს და ლიდა უიფიანს, რომელნიც სრულიად უანგაროთ წამოგვყვნენ ქუთაისიდან და არავითარ შრომას არ მოერიდნენ, რომ წარმოდგენა, რომელმაც მართლა აუარებელ ხალხს მოუყარა თავი, მთლიანათ და შინაარსიანათ ჩატარებულიყო. აგრეთვე მადლობას ვწირავ ბ. ი. ოცხელს, ფარდის თხოვებისათვის.

დასასრულ მადლობას ვწირავ ყველა იმ პირს, ვინც წარმოდგენის მოწყობისათვის გაწეულ შრომაში, ასე თუ ისე, მონაწილეობა მიიღო და მით ბეჩავი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს ხელი შეუწყო.

სტ. მიხ. ტყეშელაძე.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბარინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—13

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების

**სამკურნალო აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს [illegible] სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, [illegible]დაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი [illegible]ნები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერი. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, და ბრუნდება საღამოობით. თ

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

**ალექსანდრე ი. კოსტავასი.**

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის მსაკეთებელი „სოდა"**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან